

PIERRE CORNEILLE'S "THE DEATH OF POMPEY" - LITERARY SOURCES AND CORNEILLE'S INNOVATIONS

პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ ლიტერატურული წყაროები და
კორნელისეული ინოვაციები

Tamar Antia

Doctor of Philology

Bukia street 13/11, Kutaisi, 4600, Georgia,

+995592128378, tamarantia@gmail.com

<https://orcid.org/0009-0007-7349-8312>

Abstract. The article examines Pierre Corneille's tragedy "The Death of Pompey" and analyzes the literary sources employed by the author, as well as the significance of his dramaturgical innovations. The primary objective of the research is to explore the process through which Corneille transformed ancient narratives into a dramatic composition, integrating them into the form of classical tragedy. The plot of the tragedy is mainly based on two essential sources: Marcus Annaeus Lucan's epic poem "Pharsalia" and Plutarch's "Parallel Lives". Drawing from these texts, the author creates a tragedy that responds to the aesthetic and formal requirements of 17th-century French theater.

The study highlights both the elements Corneille faithfully adapted from the ancient sources—such as character identities, the main plotline, and historical facts and the aspects resulting from his own dramaturgical interpretation. The paper demonstrates how Corneille adheres to the principles of unity of time and action, condensing historical chronicle while transforming the narrative. Simultaneously, the author introduces new characters and dramatic details, enhancing the psychological motivations of the characters and amplifying the dramatic tension of the play, which allows the tragedy to acquire not only a historical dimension but also profound emotional and political layers.

"The Death of Pompey" serves as a prominent example of the interpretation and creative reimagining of ancient sources within the framework of classical tragedy. This study argues that Corneille's tragedy is not merely a dramatization of a historical narrative, but rather an attempt by the author to convey the political and cultural values of the 17th century through the language of art, while also crafting an original and multifaceted theatrical narrative that provides a contemporary reflection on the ancient tradition.

Key words: Pierre Corneille, The Death of Pompey, Dramaturgical Innovation, French Classical Tragedy, Lucan, Plutarch, Historical Sources, Classicism

თამარ ანთია

ფილოლოგიის დოქტორი

ქუთაისი, ბუკიას ქუჩა 13/11, 4600, საქართველო.

+995592128378, tamarantia@gmail.com

<https://orcid.org/0009-0007-7349-8312>

აბსტრაქტი. სტატიაში გაანალიზებულია პიერ კორნელის ტრაგედია - „პომპეუსის სიკვდილი“ და მასში გამოყენებული ლიტერატურული წყაროები, ასევე ის მხატვრული ინოვაციები, რომელთა საშუალებით ტრაგედიას XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად იქცა.

კვლევა ეფუძნება ორ უმნიშვნელოვანეს ანტიკურ ტექსტს — მარკუს ანეუს ლუკიანეს ეპიკურ პოემას „ფარსალია“ და პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებს“. პიერ კორნელმა ზემოხსენებული ტექსტების სიუჟეტური და თემატური მოტივები გადაამუშავა და ახალი მხატვრული ფორმა მისცა.

„პომპეუსის სიკვდილი“ არ არის მხოლოდ ისტორიული ნარატივის თეატრალური ადაპტაცია, მასში ასახულია XVII საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ყურადღება გამახვილებულია ძალაუფლების, პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და პიროვნული ღირსების თემებზე, რაც მას ანტიკურ წყაროთა უბრალო რეპროდუქციისგან მკვეთრად გამოარჩევს.

პიერ კორნელმა გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო ანტიკური სიუჟეტები თანამედროვეობის პრობლემათა ასახვისათვის, რაც მის ტრაგედიას ორიგინალურობასა და ეპოქალურ აქტუალობას ანიჭებს.

„პომპეუსის სიკვდილი“ წარმოადგენს ანტიკური ლიტერატურის ინტერპრეტაციის ბრწყინვალე ნიმუშს და ამავდროულად, ფრანგული კლასიციზტური თეატრის უმნიშვნელოვანეს ტრაგედიას, სადაც ეპოქის ისტორიული და ესთეტიკური ასპექტები ჰარმონიულად ერწყმიან ერთმანეთს.

საკვანძო სიტყვები: პიერ კორნელი, პომპეუსის სიკვდილი, ლუკიანე, პლუტარქე, ისტორიული წყაროები, კლასიციზმი, ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია, ინოვაციები.

შესავალი. „პომპეუსის სიკვდილის“ სიუჟეტს პიერ კორნელი ძირითადად დაესესხა რომაელ პოეტსა და ისტორიკოსს მარკუს ანეუს ლუკიანეს (Marcus Annaeus Lucanus) კერძოდ, მის ისტორიულ პოემას რომის სამოქალაქო ომების შესახებ - „ფარსალია“ („Pharsalia“) და ბერძენი მწერალისა და ისტორიკოსის პლუტარქეს (Mestrius Plutarchus) ცნობილ ნაწარმოებს, „პარალელური ბიოგრაფიები“, (ბერძ. Βίοι παράλληλοι), სადაც პლუტარქე სახელგანთქმულ ბერძენთა და რომაელთა შესახებ მოგვითხრობს.

ტრაგედიის 1644 წლის გამოცემაში, მკითხველისდმი მიმართვაში („Épître au lecteur“), პიერ კორნელი ამბობს, რომ იგი იმდენად აღაფრთოვანა ლუკიანეს დიდებულმა გონებამ და აზროვნების სიძლიერემ, რომ ლუკიანეს ეპიკური პოემის შთაგონებით შექმნა დრამატული ნაწარმოები.

„პომპეუსის სიკვდილის“ ადრინდელ - 1648, 1652 და 1655 წლების გამოცემებში

პიერ კორნელი ახდენს არა მხოლოდ იმის იდენტიფიცირებას, რომ მისი ტრაგედიის წყაროა ლუკიანეს ეპიკური პოემა „ფარსალია“, („Pharsalia“) არამედ აზუსტებს იმ ტაეპთა რაოდენობას, რომელიც მან „ფარსალიადან“ თარგმნა ან შექმნა ლუკიანეს მობადვით. პიერ კორნელი იმასაც მიანიშნებს, რომ პრობლემა რაც მას „ფარსალიაზე“ მუშაობისას შეექმნა ის იყო, რომ დრამატურგს საგრძნობლად უნდა შეეკუმშა ეპოსი დრამატული ნაწარმოების შექმნის სასარგებლოდ. „პომპეუსის სიკვდილის“ შესავალში- მიმართვაში მკითხველისადმი - „Au lecteur“ პიერ კორნელი აღნიშნავს, რომ ეს იყო მცდელობა იმისა, დრამატულ ლექსად შეექმნა ის, რაც მან (ლუკიანემ) ეპოსის სახით შექმნა (Corneille, 2013: 6).

ტრაგედიის 1660 წლის გამოცემას წამმღვარებული აქვს „განხილვა“, სადაც პიერ კორნელი ამბობს, რომ პომპეუსის სიკვდილი იმდენად ცნობილი ისტორიული ამბავია, რომ

პომპეუსის სიკვდილი იმდენად ცნობილი ისტორიული ამბავია, რომ მას არც კი გაუბედავს რამე შეეცვალა ამ ამბავში (Sommaville, 1660: 10).

„პომპეუსის სიკვდილის“ ისტორიული წყაროების შესახებ განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ პიერ კორნელის მკვლევრები და კომენტატორები. შარლ მარტი - ლავო აღნიშნავს, რომ პიერ კორნელი ჯერ კიდევ რუანის იეზუიტთა კოლეჯში სწავლისას იმდენად კარგად იცნობდა ლუკიანეს პოემას - „ფარსალიას“, რომ სტუდენტობისას მან ფრანგულ ენაზე თარგმნა ნაწყვეტი „ფარსალიადან“ და პრიზი დაიმსახურა (Marty-Laveaux, 1862: 203).

მართალია, „პომპეუსის სიკვდილის“ სიუჟეტზე უმთავრესად გავლენა ლუკიანეს „ფარსალიამ“ მოხდინა, თუმცა ტრაგედიაზე მუშაობისას პიერ კორნელმა ასევე მიმართა სხვა ისტორიულ წყაროს - როგორიცაა შარლ შოლმერის შემოკლებული თარგმანი იტალიელი კარდინალის და ისტორიკოსის ცეზარ ბარონიუსის (Caesar Baronius) „საეკლესიო მატეიანე“ - („Annales Ecclesiastici“), რომელიც 1638 წელს ანტუან სომავილმა პარიზში გამოსცა.

მარტი-ლავო აღნიშნავს, რომ რომის ისტორიის ცნობილი ეპიზოდი, რომელიც პომპეუსის სიკვდილის შესახებ მოგვითხრობს, პიერ კორნელამდე ჯერ კიდევ რობერ გარნიემ და შარლ შოლმერმა გადაამუშავეს და სცენაზე დადგეს (Marty-Laveaux 1862: 205).

მეთოდები. სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი, კომპარატივისტული, კულტურულ-ისტორიული მეთოდები, ასევე საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები, ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებები და სამეცნიერო ლიტერატურული შრომები.

შედეგები და მსჯელობა. პიერ კორნელის ერთ-ერთი მკვლევარი ემილ პიკო (Émile Picot) - ნაშრომში „Bibliographie Cornélienne“ - „კორნელის ბიბლიოგრაფია“ იზიარებს მარტი-ლავოს მოსაზრებას და „პომპეუსის სიკვდილის“ დამატებით წყაროდ მარკუს ველეუს პატერკულუსის (Marcus Velleius Paterculus) „რომის ისტორიას“- „Historiae Romanae“ - მიუთითებს (Picot, 1876: 266).

ე. პიკოს მოსაზრება ეფუძნება მას, რომ პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ პირველ გამოცემას თან დაერთვის პომპეუსისა და კეისრის დახასიათება, რომელიც პიერ კორნელმა ლუკიანესგან და პატერკულუსის ნაწარმოებიდან გადმოიღო. ამის შესახებ პიერ კორნელი ტრაგედიის დასაწყისში მიმართავს მკითხველს - „Le premier est un épitaphe de Pompée, prononcé par Caton dans Lucain. Les deux autres sont deux peintures de Pompée et de César, tirées de Velleius Paterculus“-პირველი არის პომპეუსის ეპიტაფია, რომელიც კატონმა ლუკიანესთან. დანრჩენი ორი კი პომპეუსისა და კეისრის აღწერილობა, ველეუს პატერკულუსიდან არის გადმოღებული“ (Corneille, 2013:6).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ პიერ კორნელმა აღნიშნული ნაწყვეტები „პომპეუსის სიკვდილის“ გამოცემას დაურთო ლიტერატურული ღირებულების გამო და არა იმიტომ, რომ პატერკულუსის ნაშრომმა რამე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ტრაგედიაზე.

„პომპეუსის სიკვდილის“ შედარება მის ისტორიულ წყაროებთან ცხადყოფს, რომ პიერ კორნელი თავისი ტრაგედიის შექმნისას ძირითადად ეყრდნობოდა რომაელი ისტორიკოსისა და პოეტის მარკუს ანეუს ლუკიანეს პოემას ფარსალია და ბერმენი ისტორიკოსისა და ბიოგრაფის მესტრიუს პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებს, რომელშიც პლუტარქე მოგვითხრობს სახელგანთქმული ბერმენებისა და რომაელების, მათ შორის იულიუს კეისრისა და გნეუს მაგნეუს პომპეუსის ცხოვრებას და მოვაწობას.

„პომპეუსის სიკვდილის“ შედარებითი ანალიზი მის ისტორიულ წყაროებთან საშუალებას იძლევა ვაჩვენოთ, თუ რა გადმოიტანა უცვლელად კორნელმა თავის ტრაგედიაში და რა ინოვაციები შემოგვთავაზა, რომლის წყალობით პომპეუსის სიკვდილის ისტორიული ამბიდან დრამატურგმა კლასიციზტური ტრაგედიის ბრწყინვალე ნიმუში შექმნა.

ლუკიანეს „ფარსალიაში“ დეტალურად არის აღწერილი რომის სამოქალაქო ომი, რომლის მიმდინარეობისას პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ორი დიდი რომაელი - იულიუს კეისარი და სახელგანთქმული მთავარსადალი - მაგნეუს პომპეუსი დაუპირისპირდნენ. გადამწყვეტი ბრძოლა იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის, ძველი წელთაღრიცხვით 48 წელს, თესალიაში, ჩრდილოეთ საბერძნეთში, ფარსალოსთან გაიმართა. ფარსალოსის ბრძოლაში კეისარმა დაამარცხა მაგნეუს პომპეუსი, რომელიც იძულებული შეიქნა თავის მეუღლე კორნელიასთან და დანარჩენ ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად ეგვიპტეში გაქცეულიყო. პომპეუსი იმედოვნებდა, რომ ეგვიპტის მეფე პტოლომეუსი მას თავშესაფარს მისცემდა, რადგან თავის დროზე რომაელმა მხედარმთავარმა პტოლომეუსის მამას ეგვიპტის სამეფო ტახტის შენარჩუნებაში გაუწია დახმარება.

ეგვიპტის მეფემ, რომელიც იმ დროისთვის ქალაქ პელისიუმში იმყოფებოდა, როგორც კი პომპეუსის მოახლოება შეიტყო, მრჩეველებს მოუხმო, რათა მათთან ერთად განეხილა პომპეუსისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ეგვიპტელებს იულიუს კეისრის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით პომპეუსი მოეკლათ. პომპეუსი ეგვიპტის სანაპიროზე ფეხის დადგმისთანავე ეგვიპტის მეფის მსახურმა, აქილასმა სასიკვდილოდ დაჭრა, რის შემდეგაც მას თავი მოკვეთეს, ხოლო ტანი ზღვაში გადააგდეს.

პომპეუსის სიკვდილი საკუთარი თვალთი იხილა მისმა ცოლმა კორნელიამ, რომელიც ქმარს თან ახლდა. ტკივილისაგან გონწართმეული ქალი ზღვაში გადავარდნას ცდილობდა, მაგრამ თანმხლებმა პირებმა მას ამ განზრახვის აღსრულებაში ხელი შეუშალეს. ამის შემდეგ პომპეუსის გემმა ღუზა აუშვა და ეგვიპტის მისადგომები დატოვა.

პომპეუსის მკვლელობიდან მესამე დღეს ეგვიპტეში იულიუს კეისარი ჩამოვიდა. ეგვიპტელებმა, მისთვის რომ ეამებინათ, პომპეუსის მოკვთილი თავი მიართვეს, თუმცა რომაელი მხედართმთავრის სიკვდილს არ მოჰყოლია ის შედეგი, რასაც ეგვიპტელები ელოდნენ. კეისარი პომპეუსის სიკვდილის ამბავს მწუხარებით შეხვდა, მისი მოკვთილი თავის ნახვისას თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა. რომაელი მხედართმთავრის სიკვდილით განრისხებულმა კეისარმა პტოლომეუს მეფეს მამის ანდერძის აღსრულება და თავისი დისთვის - კლეოპატრასთვის სამეფოს კუთვნილი ნახევრის გადაცემა მოთხოვა. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პტოლომეუსმა კეისრის წინააღმდეგ აჯანყება დაგეგმა, თუმცა შეთქმულება გამჟღავნდა, პტოლომეუსი კეისრის ჯარებთან ბრძოლაში დაიღუპა.

პიერ კორნელი ისტორიულ სიუჟეტზე დაყრდნობით და პომპეუსის სიკვდილის ამბავს მოგვითხრობს ისე, როგორც ამას ლუკიანე „ფარსალიაში“ აღწერს.

მიმართავს რა ისტორიულ სიუჟეტს, პიერ კორნელს პომპეუსის სიკვდილში უცვლელად როდი გადმოაქვს ყველა ისტორიული მოვლენა თუ ისტორიულ პიროვნებათა აღწერილობა. პიერ კორნელის ტრაგედიის ორიგინალობას განაპირობებს ის, რომ დრამატურგს ინოვაციები შეაქვს ისტორიულ სიუჟეტში და შესაბამისად ახალ, ორიგინალურ მხატვრული სახეებს ქმნის.

გამოვყოფთ ინოვაციებს რომლებიც პიერ კორნელმა შეიტანა ისტორიულ სიუჟეტში და რომლებზედაც ის თავად ამახვილებს ყურადღებას „განხილვაში“, რომელიც წინ უძღვის „პომპეუსის სიკვდილს“.

1. ლუკიანე გვიამბობს, რომ პომპეუსის ცოლი კორნელია, მას შემდეგ, რაც ქმრის სიკვდილი იხილა და მეგობრებმა თვითმკვლელობისგან იხსნეს, იმავე გემით, რომელითაც ეგვიპტის სანაპიროს მოაღწია, უკან დაბრუნდა. პიერ კორნელის ტრაგედიაში უკან გაბრუნებულ გემს ეგვიპტელები გამოედევნენ, კორნელია დაატყვევეს და და პტოლომეუსის სასახლეში დააბრუნეს, სადაც პომპეუსის ქვრივი და იულის კეისარი ერთმანეთს შეხვდნენ.

როგორც ვხედავთ, პიერ კორნელი დასჯერდა მხოლოდ კორნელიასთან, პომპეუსის ქვრივთან დაკავშირებული დეტალების გადაჭარბებას, რომელმაც კეისარს წინასწარ აცნობა პტოლომეუსის აჯანყების შესახებ. ლუკიანეს გადმოცემის თანახმად კორნელია ნამდვილად იმყოფებოდა გემზე ქმართან- პომპეუსთან ერთად, როცა მათი გემი ეგვიპტის ნაპირებს მოადგა. ქალმა თავისი თვალთი იხილა ეგვიპტის მიწაზე გადასული პომპეუსის სიკვდილი, რის შემდეგაც გემმა, რომელზედაც კორნელია იმყოფებოდა ეგვიპტის მისადგომები დატოვა. ეგვიპტის მეფის ბრძანებით გემს ეგვიპტელები დაედევნენ, მაგრამ ცნობები იმის შესახებ, რომ კორნელია შეიპყრეს და კეისარს მიჰგვარეს, ისტორიულ წყაროებში არ მოიპოვება.

2. ლუკიანეს მიხედვით პომპეუსი ქალაქ პელისეუმში მოკლეს. რაც შეხება კეისარს, ის ალექსანდრიაში ჩავიდა. ლუკიანესგან განსხვავებით, პიერ კორნელმა, მოქმედების ადგილის ერთიანობის მიზნით, თავისი ტრაგედიის მოქმედება ალექსანდრიაში, მეფე პტოლომეუსის სასახლეში გადმოიტანა.

3. ლუკიანეს მოგვითხრობს, რომ კეისრის ბრძოლა ალექსანდრიაში თითქმის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა. პიერ კორნელმა, როგორც თვითონ განმარტავს, მოქმედება 24 საათის ფარგლებში რომ მოექცია, იულიუს კეისარს ჩამოსვლის დღესვე მოაპოვებინა გამარჯვება აჯანყებულ ეგვიპტელებზე.

4. პიერ კორნელის ტრაგედიაში პომპეუსის მოკვეთილი თავი კეისარს თავად მეფე პტოლომეუსმა მიართვა. ამ სცენაში შეტანილი მცირე ცვლილების შესახებ თავად

პიერ კორნელი ამბობს, რომ როგორც პლუტარქესთან, ასევე ლუკიანესთან ეს გააკეთა მეფის მიერ გაგზავნილმა მაცნემ, რომელსაც თეოდოტე ერქვა. ამ შემთხვევაში კორნელი ცდება, რადგან სახელს თეოდოტე (თეოდოტუსი) მხოლოდ პლუტარქესთან არის მოხსენიებული. ლუკიანესთან, პიროვნება, ვინც კეისარს პომპეუსის თავი მიართვა თავის თავს „თანამგზავრს“ უწოდებს, სახელი თეოდოტუსი არსად არის მოხსენიებული.

5. პლუტარქესთან კეისარსა და კლეოპატრას მათ შორის სასიყვარულო გრძნობება მას შემდეგ გაჩნდა, რაც კეისარი ალექსანდრიაში ჩავიდა. კლეოპატრამ, რომელიც თავისი ძმის, მეფე პტოლომეუსის მსახურის, ფოტინის მიერ გაძევებული იყო ალექსანდრიდან, კეისარს სთხოვა ძმისგან მემკვიდრეობის მიღების საქმეში და ალექსანდრიაში, პტოლომეუსის სასახლეში კეისრის დახმარებით შეიპარა.

პიერ კორნელის მიხედვით კეისარს კლეოპატრა უკვე მანამდე უყვარდა, სანამ ალექსანდრიაში ჩამოვიდოდა. უფრო მეტიც იგი, კლეოპატრას ფარსალიიდან წერილს უგზავნის და ჩამოსვლის შესახებ აფრთხილებს. კორნელის კლეოპატრა პლუტარქეს კლეოპატრას მსგავსად ქალაქიდან განდევნილი როდია, ის ალექსანდრიაში, თავისი ძმის-პტოლომეუსის სასახლეში ცხოვრობს.

ასე რომ, პიერ კორნელის მიხედვით, კეისარის ალექსანდრიაში ჩასვლის მთავარი მიზეზი კლეოპატრაა და არა პომპეუსი.

6. აღსანიშნავია ლუკიანეს და პლუტარქეს წყაროებსა და პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილში“ მოხსენიებულ მოქმედ პირთა სახელების იდენტურობა: იულიუს კეისარი, კორნელია, პტოლომეუსი, კლეოპატრა, აქილასი, აქორეა, სეპტიმუსი, ფოტინი, ფილიპე. ერთადერთი განსხვავებება სახელებთან დაკავშირებით არის ის, რომ სახელი „ფოტინი“ ლუკიანესთანა და პლუტარქესთანა მოიხსენიება, როგორც „ფოტინუს“.

აქორეას რაც შეეხება, იგი ისტორიულ წყაროებში ცნობილია, როგორც პომპეუსის პირადი მოძღვრი და მეგობარი, ხოლო კორნელთან წარმოგვიდგება, როგორც კლეოპატრას ერთგულ მსახური, ვინც პომპეუსისადმი თანაგრძნობითაა განმსჭვალული.

პიერ კორნელის ინოვაციაა ის, რომ მან ტრაგედიაში დაამატა მარკუს ანტონიუსის, ლეპიდუსის, და მარმიონის პერსონაჟები. ისტორიული წყაროები გვიამბობენ, რომ მარკუს ანტონიუსი იულიუს კეისარს ფარსალოსის ბრძოლაში თან ახლდა. იგი კეისარის ჯარების მარცხენა ფრთას მთავარსარდლობდა. პლუტარქე მოგვითხრობს, რომ პომპეუსის დამარცხების შემდეგ კეისარმა მარკუს ანტონიუსი რაინდთა წინამძღოლად- „maître de la chevalerie“ დანიშნა და რომში გაგზავნა. სანამ ფარსალოსის ბრძოლა მოხდებოდა ლეპიდუსი კეისარმა ესპანეთის პრეფექტად დაადგინა. ასე რომ, იგი, ალექსანდრიაში კეისარსთან ერთად არ ყოფილა. სავარაუდოა, რომ კორნელზე გავლენა მოახდინა მეორე ტრიუმვიატის პერიოდში ოქტავიუსის, მარკუს ანტონიუსისა და ლეპიდუსის გაერთიანებამ, რომლებიც იულიუს კეისარს ყოველთვის თან ახლდნენ.

პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილში“ ლეპიდუსი მუნჯი პერსონაჟია, ხოლო მარკუს ანტონიუსი III მოქმედების, III სცენაში, იულიუს კეისართან დიალოგში ჩნდება, სადაც მას არწმუნებს, რომ მშვენიერი კლეოპატრას გული იულიუს კეისარს ეკუთვნის.

„პომპეუსის სიკვდილის“ შესავალი, რომელიც მრჩეველებისადმი პტოლომეუსის მიმართებით იწყება, კორნელისეული ინოვაციაა, ხოლო I მოქმედებაში I სცენაში კორნელის ფოტინის გამოსვლები (ტაეპები 50-II5), სადაც იგი პტოლემეუსს პომპეუსის მოკვლას ურჩევს, მთლიანად ეფუძნება ფოტინუსის მეტყველებას ლუკიანეს ფარსალიაში (VIII. 484-535).

პიერ კორნელთან, ისევე, როგორც ლუკიანესთან ფოტინის რჩევას მოჰყვება აქილასის რჩევა (ტაეპები II7-I60). აქილასი ნეიტრალური მრჩეველის როლშია, ის პტოლომეუსს ურჩევს პომპეუსი არ მიიღოს, თუმცა თუ საჭირო არ არის არ მოკლას იგი. აქილასის საუბარი ეფუძნება ლუკიანეს „ფარსალიის“ (VIII 542-560) ლექსებს, რომლებშიც ლუკიანე თავის მოსაზრებას გამოთქვამს მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ. აქილასის დისკურსის ზოგიერთი ტაეპი ძალიან ჰგავს ლუკიანეს „ფარსალიის“ გარკვეულ ტაეპებს. პიერ კორნელთან ტაეპები -II7-132 გამოხატავს აქილასის მოწოდებას პტოლომეუსისადმი- იყოს ერთდროულად ფრთხილი და ნეიტრალური. ზემოთმოყვანილი ტაეპებში გამოხატული თვალსაზრისი ემთხვევა ლუკიანეს „ფარსალიის“ VIII 550-560. პიერ კორნელთან, 133-134 ტაეპებში აქილასი შეახსენებს პტოლომეუსს, რომ იგი ვალშია პომპეუსის წინაშე; მსგავსი შეხსენება გვხვდება ლუკიანესთან, VIII. 559-560. ტაეპები - 140-145, რომლებშიც აქილასი ცდილობს დაუმტკიცოს პტოლემეუსს, რომ კეისარმა უფრო მეტი გააკეთა მამამისის-

პტოლომეუსის მეფობის აღდგენისთვის, ვიდრე პომპეუსმა, ემთხვევა ლუკიანესთან VIII 557-558 ტაეპებს. ტაეპები, სადაც კეისრის მიერ პტოლომეუსის მამისადმი ფულადი დახმარების მიღებაზე საუბარი, პიერ კორნელმა პლუტარქეს „კეისრის ცხოვრების“, გავლენით შექმნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიერ კორნელის სეპტიმიუსის პროტოტიპია პლუტარქეს თეოდოტუსი. ამ მხრივ საინტერესოა სეპტიმიუსის გამოსვლა - ტაეპები - 161-188. კორნელმა, ამ შემთხვევაში შეცვალა მხოლოდ პერსონაჟის სახელი. რაც შეეხება სეპტიმიუსის რჩევას, აშკარაა მის მსგავსება პლუტარქეს თეოდოტუსის რჩევასთან. პლუტარქეს თეოდოტუსი კეისარს სამ ალტერნატივას სთავაზობს: 1. მიიღოს პომპეუსი, 2. პორტი დაკეტოს და არ შემოუშვას პომპეუსის გემი, 3. პომპეუსი სიცოცხლეს გამოასაღმოს. პიერ კორნელმა თეოდოტუსის ამ სამ ალტერნატივას დაუმატა მეოთხე- სეპტიმიუსი სთავაზობს პტოლომეუსს პომპეუსი შეიპყროს და კეისარს გადასცეს.

1 სცენის II მოქმედებაში პტოლომეუსსა და ფოტინს შორის მოკლე დიალოგში მოხსენიებულია ის ფაქტი, რომ პომპეუსს თან აქვს პტოლომეუსის გარდაცვლილი

მამის ანდერძი, რომლის მიხედვით ეგვიპტის სამეფოს ნახაევარი პტოლომეუსმა თავის დას - კლეოპატრას უნდა გადასცეს. ფოტინი არწმუნებს პტოლომეუსს, რომ პომპეუსი უნდა მოკვდეს, ხოლო კლეოპატრა უნდა ჩამოშორდეს სამეფო საქმეებს. ის, რომ პომპეუსს ეგვიპტის გარდაცვლილი მეფის ანდერძი აქვს, პიერ კორნელის ინოვაციაა, ხოლო სცენაში, სადაც ფოტინი პომპეუსის სიკვდილსა და სახელმწიფო საქმეებიდან კლეოპატრას ჩამოშორებაზე ზრუნავს, შეიმჩნევა პლუტარქეს გავლენა „Pothinus, l'eunuque, lequel . . . après avoir . . . chassé de la cour Cleopatra” ... (Caesar, XIII) „ფოტინუსი, საჭურისი, რომელიც ... მას შემდეგ, რაც ... გააძევეს კლეოპატრას კარიდან”...

I მოქმედების IV სცენა, სადაც პტოლომეუსი და ფოტინი საუბრობენ იმის შესახებ, რომ თუკი კეისარს კლეოპატრა უყვარს ის აუცილებლად მის მხარეს დაიჭერს, ამიტომ პტოლომეუსის მიერ კეისრის კეთილგანწყობის მოპოვების ერთადერთი საშუალება პომპეუსის სიკვდილია - მთლიანად პიერ კორნელის ინოვაციაა.

პიერ კორნელის ინოვაციაა II მოქმედების I სცენა, სადაც კლეოპატრა შარმიონს ეუბნება, რომ ის კეისარის სიყვარულში დარწმუნებულია, რასაც ადასტურებენ წერილები, რომლებსაც კეისარი კლეოპატრას სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნისას უგზავნიდა და ბოლოს სატრფოს ფარსლიიდან წერილობით აცნობა ეგვიპტეში ჩამოსვლის შესახებ. კეისარზე თავდავიწყებით შეყვარებულ კლეოპატრას პომპეუსის გადარჩენა სურს, რასაც შარმიონთან საუბარში არ მალავს.

პლუტარქესა და ლუკიანეს წყაროების გავლენა თვალსაჩინოა პომპეუსის სიკვდილის II მოქმედების II სცენაში, სადაც აქორეა კლეოპატრას პომპეუსის სიკვდილის ამბავს უამბობს. პიერ კორნელი 456-ე ტაეპში ამბობს, რომ პომპეუსი ეგვიპტეში სამი გემით ჩამოვიდა, პლუტარქე და ლუკიანე კი ერთ გემს ასახელებენ. ზემოთხსენებულ სცენაში პომპეუსის სიკვდილის 461-463, 469 470 479 480 ტაეპები შექმნილია ლუკიანეს VIII. 572-573; 580-582; 596-597 ტაეპების გავლენით, ხოლო, 465, 479-484 ტაეპებში პლუტარქეს გავლენა შეიმჩნევა. ასე, მაგალითად პიერ კორნელი გვეუბნება, რომ:

“ Enfin, voyant nos bords et notre flotte en armes”(v.465).

„და ბოლოს, დაინახა ჩვენი ნაპირები და ჩვენი შეიარაღებული ფლოტი”.

პლუტარქესთან ვკითხულობთ:” On voyoit de loing plusieurs galeres de celles du roy, que l'on armoit en diligence et toute la coste couverte de gens de guerre”-„შორიდან ხედავდნენ მეფის რამდენიმე გალერას, რომლებიც მთლიანად შეიარაღებული იყო. მთელი სანაპირო მეომრებით იყო დაფარული”.

აშკარაა კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ 479-484 ტაეპების მსგავსება პლუტარქეს ისტორიულ წყაროსთან, პლუტარქეც და პიერ კორნელიც ერთნაირად მოგვითხრობენ, რომ ეგვიპტის სანაპიროზე პომპეუსს პირველი სეპტიმუსი შეხვდება, მეფის სახელით ესალმება და თავის ნაწიში გადასვლას სთავაზობს.

პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ 499-508 ტაეპები ლუკიანესა და პლუტარქეს წყაროებისგან ოდნავ განსხვავდება. ლუკიანე მკვლელობაში მონაწილეობა სახელებს ცალ-ცალკე არ მოიხსენიებს, იგი გვიყვება, რომ მკვლელობის ყველა მონაწილე ხმაღს ერთდროულად იშიშვლებს, ამის შემდეგ აქილასი პომპეუსს ხმაღს გვერდში ჩასცემს. პლუტარქეს მიხედვით პომპეუსს პირველი დარტყმა სეპტიმუსმა მიაყენა, შემდეგ კი სლავიუსმა და აქილასმა, რომლებმაც სეპტიმუსის მაგალითს მიბადეს. პიერ კორნელის ტრაგედიაში პომპეუსზე პირველად ხმაღს აქილასი აღმართავს, რითაც ნიშნავს აძლევს სეპტიმუსს და მის თანმხლებ სამ პიროვნებას, რომ პომპეუსი სიცოცხლეს გამოასალმონ.

ნათელია პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ ქვემოთ ჩამოთვლილ ტაეპთა მსგავსება ლუკიანეს „ფარსალიის“ შემდეგ ტაეპებთან:

კორნელი: 514-516, ლუკიანე VIII 614- 615

519-520, 619

526-528, 621

529-531, 668 -675

534-536, 698 -699

541-542 661- 662

ასევე მსგავსია კორნელის 521-522, 522-528 ტაეპები და ლუკიანეს VIII 617 , 622-632 ტაეპები, რომლებშიც აღწერილია სიკვდილის პირას მყოფი პომპეუსის ფიქრები.

პლუტარქე, ამ შემთხვევაში, დიდ გავლენას ვერ მოახდენდა კორნელზე, რადგან იგი პომპეუსის სიკვდილს მოკლედ აღწერს, თუმცა კორნელის 514 ტაეპში - „D'un des pans de sa robe il couvre son visage“- „მანტიის ერთი კალთით სახეს იფარავს“ - იგრძნობა პლუტარქეს გავლენა: „Pompeius tira sa robe a deux mains au devant de sa face“- „პომპეუსმა ორივე ხელით მანტია სახეზე ჩამოიფარა“- აღნიშნავს პლუტარქე პომპეუსის სიკვდილის აღწერისას.

537-542 ტაეპებში პ. კორნელი აღწერს კორნელიას თავგანწირული საქციელი მას შემდეგ, რაც მან თავის ქმრის სიკვდილი იხილა. პლუტარქე ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, ლუკიანე ქალის განცდებს გადმოსცემს 638 639- 661 ტაეპებში.

ლუკიანე მოგვითხრობს, რომ კორნელიამ სამჯერ სცადა თვითმკვლელობა (ტაეპები 653-661), რაშიც მისმა მეგობრებმა ხელი შეუშალეს. კორნელთან ქმრის სიკვდილს თვთმხილველი კორნელია, მწუხარებისგან გულწასული გემბანზე დაეცემა.

პიერ კორნელის ინოვაციებია სეპტიმუსის მიერ პომპეუსის გემის დევნა და ხელში ჩაგდება. პომპეუსის სიკვდილით აღექსანდრიის მოსახლეობის შეძრწუნების სცენა, (კორნელი- ტაეპები 549-556) რაც არცერთ წყაროში არ არის მითითებული. ფილიპეს მიერ პომპეუსის ცხედრის დაკრძალვის სცენაში კი (კორნელი - ტაეპები 557-564) პლუტარქეს „პომპეუსის ცხოვრების“ CXI თავის გავლენა შეიმჩნევა.

ლუკიანეს მიერ არის შთაგონებული კლეოპატრას გამოსვლა, II მოქმედების II სცენის დასასრულს (575-582), (70I-708), მარტი-ლავო პიერ კორნელის 575 ტაეპის რემინისცენციად მიიჩნევა ლუკიანეს IX თავის 194 -195 ტაეპებს (Marty-Laveaux, 1862: 207).

II მოქმედების III და IV სცენები ეხება კეისრის ჩამოსვლას, კლეოპატრას სიყვარულს, ფოტინისა და პტოლემეოსის საუბარს იმის შესახებ, თუ რა გზა უნდა აირჩიოს პტოლომეუსმა კეისართან ურთიერთობაში - კორნელისეული ინოვაციაა.

III მოქმედების I სცენაში შარმიონისა და აქორეას დიალოგიდან შევიტყობთ კეისრის ალექსანდრიაში ჩამოსვლას და მის დამოკიდებულებას პომპეუსის სიკვდილისადმი. აქორეას გრძელი ტირადა, რომელიც ზემოთხსენებული ამბების შესახებ მოგვითხრობს (ტაეპები 735-799), კორნელს ნასესხები აქვს ლუკიანესგან. ლუკიანეს გავლენა შემდეგ ტაეპებში შეინიშნება:

კორნელი: 763-764	ლუკიანე VIII, 682-683
766-768	665
769-770	IX, 1035-1036
783-786	1038-1039
787	1064-1065

ვარაუდი იმის შესახებ, რომ კეისრის მწუხარება პომპეუსი სიკვდილის შესახებ მოჩვენებითი იყო (კორნელი, ტაეპი: 737), ლუკიანესთან IX, 1035-1043 ტაეპებს ემთხვევა.

III მოქმედების II სცენა, სადაც პტოლომეუსი კეისარს ეგვიპტის ტახტს სთავაზობს, კეისრი კი მას პომპეუსის მკვლელობის გამო საყვედურობს, რაზეც პტოლომეუსი თავის იმით იმართლებს, რომ ამ შემთვევაში იგი კეისრის სასარგებლოდ მოქმედებდა, პიერ კორნელს ლუკიანეს გავლენით აქვს დაწერილი, რაც თვალსაჩინოა ლუკიანესა და კორნელის ლექსთა შემდეგი ტაეპების შედარებისას:

კორნელი 829	ლუკიანე IX, 1073-1074
833- 834	1075-1076
841-842	1081-1083
845-846	1083-1084
914-916	1066-1068
939-941	1091-1092

III მოქმედების III სცენა, სადაც ანტუანი იულიუს კეისარს ორ ამბავს ატყობინებს, პირველი- კლეოპატრამ კეისრის სასიყვარულო მესისჯი სიხარულით მიიღო და თავადაც თანახმაა და მეორე - პომპეუსის ქვრივის კორნელიას დატყვევების ამბავს- მთლიანად კორნელის ინოვაციაა.

III მოქმედების IV სცენას, სადაც აღწერილია კორნელიას გლოვა-წუხილი დაღუპული ქმრის გამო და იულიუს კეისრის დიალოგს კორნელიასთან, ვინც ქალს ეპყრობა არა როგორც ტყვეს, არამედ ისე, როგორც ღირსეული რომაელის ცოლს ეკადრება, ხოლო კორნელია თავის სიძულვილს არ მალავს კეისრისადმი, პიერ კორნელი ლუკიანეს დაესესახა. კერძოდ, სცენების ტაეპები, სადაც კორნელია პირველად ფარსალიის ბრძოლაში პომპეუსის დამარცხებას შეიტყობს და კორნელიას დილის გოდება პომპეუსის სიკვდილის გამო, შეესაბამება ლუკიანეს ფარსალიის შემდეგ ტაეპებს:

კორნელი 999 -1000	ლუკიანე IX, 108
1014	VIII, 90
1015-1016	93-94
1017-1018	88-89

IV მოქმედების IV სცენა, სადაც კორნელია იულიუს კეისარს ატყობინებს მის მიერ მოწყობილი შეთქმულების შესახებ, კორნელის ინოვაციაა, რაც სავსებით განსხვავდება ლუკიანეს და პლუტარქეს ვერსიებიდან. ლუკიანე მოგვითხრობს, რომ შეთქმულების ჩაშლის მიზეზი კეისრის ეგვიპტელთადმი უნდობლობა იყო. პლუტარქეს მიხედვით, შეთქმულების შესახებ კეისრის დალაქმა შეიტყო და კეისარს აცნობა.

კორნელის ინოვაციაა ასევე V მოქმედების II სცენა, სადაც კორნელია და კლეოპატრა დიალოგში თავიანთი ინტერესების შესახებ საუბრობენ.

დასკვნა. როგორც ვხედავთ, პიერ კორნელის შემოქმედებითი ორიგინალობა არ გამორიცხავს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა მიერ შექმნილი სიუჟეტების გამოყენებისა და ადაპტაციის დიდებულ ხელოვნებას. პიერ კორნელი ანტიკურ ავტორებს უპირველესად გამორჩეულ სცენებს დაესესხება, რომლებსაც შესაფერისი ინტერვალებით ანაწილებს სხვადასხვა მოქმედებებს შორის, როგორებიცაა: მოქმედება I, სცენა I (პტოლომეუსის თათბირი მრჩეველებთან), მოქმედება II, სცენა II (პომპეუსის მკვლელობის სცენა), მოქმედება III, სცენები I და II (კეისრის ჩამოსვლა ალექსანდრიაში, მისი დამოკიდებულება პომპეუსის მკვლელისადმი) მოქმედება III, სცენა IV (კორნელიას წუხილი ქმრის სიკვდილი გამო), მოქმედება IV, სცენა I (შეთქმულება კეისრის წინააღმდეგ), მოქმედება V, სცენა I (პომპეუსის დაკრძალვა), მოქმედება V, სცენა III (შეთქმულთა დასჯა).

პიერ კორნელი არა მხოლოდ დაესესხა ლუკიანესა და პლუტარქეს, არამედ თავისი ინოვაციები შეიტანა ტრაგედიის შემდეგ სცენებში: მოქმედება I, სცენები - II, III, IV მოქმედება II, სცენები - I, III, IV; მოქმედება III სცენა - III მოქმედება IV, სცენები - II, IV, V. მოქმედება V, სცენები II, IV, V). რაც შეეხება II მოქმედების IV და V მოქმედების I სცენებს მათში შეიმჩნევა რობერ გარნიეს ტრაგედიის - „კორნელიას“ გავლენა, თუმცა, ჩვენი კვლევა გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილი“ უმთავრესად პლუტარქესა და ლუკიანეს გავლენითაა დაწერილი.

პიერ კორნელმა, ანტიკური წყაროების გადამუშავებისა და მათში ინოვაციური ელემენტების ინტეგრაციის გზით, შექმნა ორიგინალური ფრანგული კლასიციზტური ტრაგედია, რომელიც XVII საუკუნის საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების პანორამულ სურათს ასახავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Baronius, C. (1638). *Annales Ecclesiastici* (abridged by Ch. Chaulmer). Paris; Antoine Sommaville
 Corneille, P. (2013). *La mort de Pompée*. Paris; Hachette.
 Chaulmer, Ch. (1638). *La mort de Pompée*. Paris, Anthoine de Sommaville.
 Garnie, R. (1574). *Cornélie*. Tragedy, Paris: Robert Estienne. (éd. J.-C. Ternaux, Paris, Champion).
 Laveaux, Charles, Marty. (1862-1868). *Œuvres complètes de Pierre Corneille*. (12 vols.). Paris, Hachette.
 Lucain, (1656). *La pharsale*. (trad. de Breboeuf). Paris ; Sommaville.
 Lucan, (1957). *Pharsalia. Dramatic Episodes of the Civil War*. Baltimore, (Trans. Graves), Penguin, Robert.
 Marty-Laveaux, Charles- Joseph, (1862). *Œuvres de Pierre Corneille*. Paris; Hachette.
 Paterculus, M. V. (ca. 30 AD). *Historiae Romanae*. Various editions; cited via Corneille (2013).
 Picot, É.(1876). *Bibliographie Cornélienne* Paris; Auguste Fontaine.
 Plutarque. (1575). *Les Œuvres Morales et Meslées – Les Vies des Hommes Illustres Grecs et Romains* (trad. Jacques Amyot). Paris & Lausanne: Michel de Vascosan & François le Preux
 Sommaville, A. (1660). *La Mort de Pompée*. Paris.

REFERENCES

- Baronius, C. (1638). *Annales Ecclesiastici* (abridged by Ch. Chaulmer). Paris; Antoine Sommaville
 Corneille, P. (2013). *La mort de Pompée*. Paris; Hachette.
 Chaulmer, Ch. (1638). *La mort de Pompée*. Paris, Anthoine de Sommaville.
 Garnie, R. (1574). *Cornélie*. Tragedy, Paris: Robert Estienne. (éd. J.-C. Ternaux, Paris, Champion).

- Laveaux, Charles, Marty. (1862-1868). *Œuvres complètes de Pierre Corneille*. (12 vols.). Paris, Hachette.
- Lucain, (1656). *La pharsale*. (trad. de Breboeuf). Paris ; Sommaville.
- Lucan, (1957). *Pharsalia. Dramatic Episodes of the Civil War*. Baltimore, (Trans. Graves), Penguin, Robert.
- Marty-Laveaux, Charles- Joseph, (1862). *Œuvres de Pierre Corneille*. Paris; Hachette.
- Paterculus, M. V. (ca. 30 AD). *Historiae Romanae*. Various editions; cited via Corneille (2013).
- Picot, É.(1876). *Bibliographie Cornélienne* Paris; Auguste Fontaine.
- Plutarque. (1575). *Les Œuvres Morales et Meslées – Les Vies des Hommes Illustres Grecs et Romains* (trad. Jacques Amyot). Paris & Lausanne: Michel de Vascosan & François le Preux
- Sommaville, A. (1660). *La Mort de Pompée*. Paris.